KARR1361919156822

№13-41953
03 / მაისი / 2022 წ.

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს ქალბატონ ნათია მერებაშვილს

საქართველოს გენერალური პროკურატურის
ადმინისტრაციის უფროსის მაგდა კაპანაძის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნათია,

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 5-6 მაისს იტალიის რესპუბლიკის ქალაქ პალერმოში იმართება ევროპის პროკურორთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გენერალური პროკურორები და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები.

აღნიშნულ კონფერენციას გახსნის იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი სერჯიო მატარელა, ღონისძიებას სხვადასხვა ქვეყნის გენერალურ პროკურორთან ერთად ესწრებიან იტალიის რესპუბლიკის იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრები.

აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილია თემატური სესიები, მათ შორის ფინანსური დანაშაულების, ასევე გარემოსდაცვითი დანაშაულების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და ამ სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარების მიღწევების და გამოწვევების შესახებ, ასევე დაგეგმილია ოფიციალური სამუშაო შეხვედრები ევროპის სხვადასხვა ქვეყნის გენერალურ პროკურორებთან.

იტალიის რესპუბლიკის საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურორის ჯიოვანი სალვის ოფიციალური მიწვევით კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს გენერალური პროკურორი ბატონი ირაკლი შოთაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი) და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ბატონი გიორგი ბადაშვილი (დელეგატი).

კონფერენციის მასპინძელი მხარისთვის კერძოდ, იტალიის რესპუბლიკის საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურორის ჯიოვანი სალვისთვის საჩუქრად გადასაცემად დაგეგმილია ქართული წარმოების სასაჩუქრე სუვენირის „ქვევრის“, ასევე საქართველოს კონსტიტუციის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საიუბილეო მედალის საჩუქრად გადაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ შესაბამის დეპარტამენტს თანდართული ინვოისების შესაბამისად უზრუნველყოს დასახელებული ნივთების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურები.

დანართი: „02“ ფურცლად.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

მაგდა კაპანაძე